ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №107

3 აპრილი 2014 წ.

საიჯარო ვადის გასვლის გამო ჩოხატაურის მუნიციპალიტეტსა და ს/ს ,,ალიანს–ენერჯი"–ს (ს/კ – 404393553) შორის სოფ. ბუქსიეთში მდებარე 1978.00 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – №28.21.22.013) 2012 წლის 1 მარტს გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულების გაუქმების შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 43–ე მუხლის მე–3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. საიჯარო ვადის გასვლის გამო გაუქმდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტსა და ს/ს ,,ალიანს–ენერჯი"–ს (ს/კ –**404393553**) შორის სოფ. ბუქსიეთში მდებარე 1978 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №28.21.22.013) (შემდეგში – ქონება) 2012 წლის 1 მარტს გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულება.

2. დაევალოს მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის დროებით მოვალოების შემსრულებელს ვლადიმერ ლომთათიძეს (პ/ნ – 46001002560) ადმინისტრაციული აქტის წარდგენა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ჩოხატაურის სარეგისტრაციო სამსახურში სარგებლობის უფლების რეგისტრაციის გაუქმების მიზნით.

3. ქონების დაბრუნება განხორციელდეს მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე სარგებლობის უფლების (იჯარის) საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგერნტოში რეგისტრაციის გაუქმებიდან ხუთი დღის განმავლობაში.

4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე - ჭავჭავაძის ქ. №4.

5.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,

იურისტი ედიშერ ჯიბუტი